

# საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებებით

## ხათუნა მიშელაშვილი

კოსმეტიკური საშუალებების (ნილაბი, პილინგი, სკრაბები, ლოსიონები, კოსმეტიკური რძე) რეცეპტურის შემუშავება საქართველოს მინერალური რესურსების გამოყენებით

სადოქტორო პროგრამა - ქიმია  
შიფრი - 0503

დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად  
წარდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი  
2016 წელი

სამუშაო შესრულებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის  
ფარმაცის დეპარტამენტზე

სამეცნიერო ხელმძღვანელები: პროფესორი თამარ ცინცაძე  
პროფესორი პავლე იაფიჩი

რეცენზენტები: -----  
-----

დაცვა შედგება 2017 წლის „-----“ . ----- , ----- საათზე  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიური ტექნოლოგიისა და  
მეტალურგიის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს კოლეგიის სხდომაზე,  
კორპუსი II, მე-3 სართული, აუდიტორია კომპიუტერული ცენტრის  
სასემინარო დარბაზი.

მისამართი: 0175, თბილისი, კოსტავას 69.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება სტუ-ს ბიბლიოთეკაში,  
ხოლო ავტორეფერატის – ფაკულტეტის ვებ-გვერდზე.

სადისერტაციო საბჭოს მდივანი

/ზ.გელიაშვილი/

## ნაშრომის ზოგადი დახასიათება

**თემის აქტუალობა.** პარფიუმერულ-კოსმეტიკური მრეწველობის ძირითადი ამოცანაა ქვეყნის მოსახლეობის უზრუნველყოფა კანის, თმისა და პირის ღრუს სხვადასხვა დაავადებების პროფილაქტიკისა და მკურნალობისთვის განკუთვნილი ხარისხიანი სამამულო პრეპარატებით. აღსანიშნავია, რომ დღეისათვის პარფიუმერულ-კოსმეტიკურ მრეწველობაში სხვადასხვა შუალედური პროდუქტების დასამზადებლად გამოიყენება მრავალი მცენარე, მინერალური ნედლეული (მინერალური წყლები, თიხები, მარილწყლები და სხვ.). მათთან ერთად საკმაოდ ფართო გამოყენება ჰპოვეს სამკურნალო ტალახებმა. საქართველო უჩვეულოდ მდიდარია ყველა ზემოთ აღნიშნულით. თუმცა საქართველოს სამკურნალო ტალახები გამოიყენება მხოლოდ ბალნეოლოგიური მიზნით კლინიკური დაწესებულების ადგილმდებარეობის მიხედვით. ამასთან ამ პირობებში სამკურნალო ტალახის დანახარჯი შეადგენს ერთ პროცედურაზე დაახლოებით 200კგ-ს, ე.ი. საშუალოდ ერთ ავადმყოფზე იხარჯება 2ტ-მდე ტალახი. მისი რეგენერაცია შესაძლებელია, მაგრამ ამისათვის საჭიროა ძვირადღირებული სალექარების აგება, ხოლო რეგენერაციის დრო 3 თვიდან 1 წლამდეა.

მსოფლიო პრაქტიკაში სამკურნალო ტალახები გამოიყენება სხვადასხვა დანიშნულების მრავალი სამკურნალო და პარფიუმერულ-კოსმეტიკური პრეპარატების მისაღებად. ერთის მხრივ, ეს საშუალებას იძლევა ავადმყოფის მკურნალობა ჩატარდეს პოლიკლინიკის ან სახლის პირობებში; მეორეს მხრივ, პარფიუმერულ-კოსმეტიკური მრეწველობა წარმოადგენს ერთ-ერთი ყველაზე მომგებიან დარგს მსოფლიო პრაქტიკაში. მაგალითად, მკვდარი ზღვის ბრენდით იწარმოება ტალახის შემცველი პროდუქციის ფართო ასორტიმენტი, რომელიც დიდი მოთხოვნით სარგებლობს მრავალ ქვეყანაში. საქართველოს ბაზარი გაჯერებულია სხვადასხვა ქვეყნების-აშშ, საფრანგეთის, იტალიის, ისრაელის, თურქეთისა და სხვათა კოსმეტიკური და

პარფიუმერული ნაწარმით, საკუთრივ ქართული პროდუქციის წილი კი მეტად მწირია. მხოლოდ ფაბრიკა „ივერია“ აწარმოებს უმნიშვნელო ასორტიმენტს. ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, პროდუქციის ახალი ტიპის წარმოებამ, რომელიც შეძლებს იყოს კონკურენტუნარიანი და დაიკავოს საკუთარი ადგილი ბაზარზე, საქართველოს უნდა მოუტანოს მნიშვნელოვანი ეკონომიკური სარგებელი. ასეთად შეიძლება იქცეს საქართველოს სამკურნალო ტალახებისგან დამზადებული პროდუქცია მისი მაღალი ხარისხისა და შესაბამისი ბრენდის გათვალისწინებით. ლამის ტალახის ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს კუმისის ტბა. მისი წყალ-მარილოვანი და ორგანული ფაზების შემადგენლობა, სხვადასხვა მიკრო- და მაკროელემენტების და ორგანული ნივთიერებების შემცველობა მათი პარფიუმერულ-კოსმეტიკურ პროდუქციაში გამოყენების და პერსპექტიულობის პროგნოზირების საშუალებას იძლევა.

**კვლევის მიზანი და ამოცანები.** კვლევის მიზანს წარმოადგენს რიგი კოსმეტიკური პრეპარატების რეცეპტურებისა და ტექნოლოგიების შემუშავება კუმისის ტბის ლამის სამკურნალო ტალახის ბიოლოგიურად აქტიური კომპონენტების გამოყენებით. კვლევის მიზნის მისაღწევად დასახულია შემდეგი ამოცანების გადაჭრა:

- ლიტერატურული მონაცემების საფუძველზე ჩატარდეს სამკურნალო საშუალებებისა და კოსმეტიკური პროდუქციის მისაღებად სამკურნალო ტალახის გამოყენების ანალიზი. განხილულ იქნეს არსებული სამკურნალო და კოსმეტიკური საშუალებები, მათი ასორტიმენტი, რეცეპტურები.
- ლიტერატურული მონაცემების საფუძველზე დასახუთებულ იქნეს მეთოდოლოგიური მიდგომა კოსმეტიკური პროდუქციის შემუშავებისადმი კუმისის ტბის ლამის სამკურნალო ტალახის ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების გამოყენებით.

- შემუშავებულ იქნეს მარტივი ანალიტიკური მეთოდიკები, რომლებიც გამორიცხავენ სპეციალური აპარატურის გამოყენებას ტალახის მინერალური და ორგანული ფაზების ძირითად კომპონენტთა დასახასიათებლად.
- შემუშავებულ იქნეს რეცეპტურები და წარმოების ტექნოლოგიური სქემები:
  - ა. კოსმეტიკური ლოსიონების;
  - ბ. კოსმეტიკური რძის;
  - გ. კომბინირებული სკრაბ-პილინგების;
  - დ. კოსმეტიკური ნიღბების.
- განისაზღვროს შემუშავებული კოსმეტიკური საშუალებების ვარგისიანობის ვადები.

**ნაშრომის ძირითადი შედეგები და მცნირული სიახლე.** ნაშრომის ძირითად სამეცნიერო სიახლეს წარმოადგენს:

- ტალახის მინერალური და ორგანული ფაზების ძირითად კომპონენტთა სპეციალური აპარატურის გამოყენების გარეშე დასახასიათებლად შემუშავებულია მარტივი ანალიტიკური მეთოდიკები.
- კუმისის ტბის ლამის სამკურნალო ტალახის და საქართველოს ფლორის ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების შემცველი კოსმეტიკური საშუალებების რეცეპტურების შემუშავების, ტექნოლოგიური და ბიოფარმაცევტული კვლევების საფუძველზე პირველადაა შემოთავაზებული კოსმეტიკური ლოსიონების, კოსმეტიკური რძის, კომბინირებული სკრაბ-პილინგების, კოსმეტიკური ნიღბების ახალი შემადგენლობები.
- პირველადაა შემოთავაზებული კოსმეტიკური რძის (თხევადი მალამოების) რეცეპტურების შექმნის კონცეფცია და ამის საფუძველზე შემუშავებულია შესაბამისი რეცეპტურა და ტექნოლოგია.

**ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება.** შემოთავაზებულია და მეთოდოლოგიურად დასაბუთებულია კუმისის სამკურნალო ტალახის გამოყენება კოსმეტიკური საშუალებების შესაქმნელად. შემუშავებულია კოსმეტიკური ლოსიონების; კოსმეტიკური რძის; სკრაბ-პილინგების; კოსმეტიკური ნიღბების რეცეპტურა და ტექნოლოგია.

**პუბლიკაციები.** სადისერტაციო ნაშრომის შედეგები წარმოდგენილია 4 სამეცნიერო სტატიასა და 4 საერთაშორისო კონფერენციების მასალათა კრებულში.

### **ნაშრომის აპრობაცია**

1. ბ. მიშელაშვილი. პელოიდების გამოყენება პოტენციური სამკურნალო საშუალებების მისაღებად. სტუდენტთა 82-ე ღია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია (ჯილდო I ხარისხის დიპლომი), თბილისი, 2015, გვ. 97;
2. ბ.მიშელაშვილი. გარკვეული ორგანული მჟავების და ზოგიერთი მცენარეული ექსტრაქტის თავსებადობის საკითხი სკრაბ-პილინგის მისაღებად. სტუდენტთა 83-ე ღია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია (ჯილდო I ხარისხის დიპლომი), თბილისი, 2016, გვ. 140;
3. Цинцадзе Т.Г., Габелая М.А., Мишелашвили Х.Т., Нишнианидзе М.В., Кахетелидзе М.Б. Возможность использования некоторых растительных и природных ресурсов Грузии в косметической практике. XX Международная научно-практическая конференция „Техника и Технология: Новые Перспективы Развития“, Москва, 20.02.2016, с. 54-57;
4. Khatuna Mishelashvili, Tamar Tsintsadze, Khatuna Tsikarishvili, Ilia Gvelesiani, Ketevan Batsikadze. DEVELOPMENT OF TECHNOLOGY AND ANALYSIS OF LOTIONS CONTAINING INGREDIENTS OF BOTTOM MUD OF LAKE KUMISI (GEORGIA). International Scientific Conference – MODERN RESEARCHES AND PROSPECTS OF THEIR USE IN CHEMISTRY, CHEMICAL ENGINEERING AND RELATED FIELDS, September 21-23, 2016, Ureki, Georgia, p. 80.

**დისერტაციის სტრუქტურა და მოცულობა.** დისერტაციის სრული მოცულობა შეადგენს 151 ნაბეჭდ გვერდს. ნაშრომი შეიცავს რეზიუმეს (ორ ენაზე), შინაარსს, შესავალს, ლიტერატურის მიმოხილვას, შედეგებსა და მათ განსჯას, ექსპერიმენტული კვლევების 6 თავს, ზოგად დასკვნას, გამოყენებული ლიტერატურის სიას. ილუსტრირებულია 43 ცხრილით. გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა მოიცავს 206 წყაროს.

## **სამუშაოს ძირითადი შინაარსი**

ლიტერატურის მიმოხილვა მოიცავს ინფორმაციას პელოიდების შესახებ, მათ შემადგენლობის თავისებურებებსა და სამკურნალო თვისებებზე. წარმოდგენილია სამკურნალო ტალახის კლასიფიკაცია შემადგენლობის მიხედვით და მათი გამოყენება როგორც სამკურნალო პრეპარატების, ისე პარფიუმერულ-კოსმეტიკური საშუალებების შექმნის თვალსაზრისით.

### **1. კვლევის ობიექტები და მეთოდები, მეთოდოლოგია**

სხვადასხვა მასალებისა და რეაქტივების გამოყენებისას შერჩევის პრინციპი ხორციელდებოდა კვებისა და კოსმეტიკურ პროდუქციაში გამოყენებისას მათი უსაფრთხოების დონის შესახებ ლიტერატურული მონაცემების საფუძველზე. კოსმეტიკური საშუალებების ცხოველებზე გამოცდის შესახებ უახლეს სახელმძღვანელოებში არსებული შეზღუდვების გათვალისწინებით, ეს არის ერთ-ერთი შესაძლებლობა შეირჩეს ნივთიერება ტოქსიურობის, ალერგიულობის და გამაღიზიანებელი მოქმედების მინიმალური ზღვარით. კვლევის ჩატარებისას გამოიყენებოდა:

ა. ევრაზიკ-ის საბაჟო კავშირის კომისიის 28.05.2010 წლის №299 გადაწყვეტილების რეკომენდაციები. ნაწილი 4. მოთხოვნები პარფიუმერულ-კოსმეტიკური პროდუქციისადმი და პირის ღრუს ჰიგიენის საშუალებებისადმი (<https://www.referent.ru/1/172600>).

ბ. რფ-ს სამკურნალო საშუალებების სახელმწიფო რეესტრი. ტომი 1. 2006 და 2012 წლის ოფიციალური გამოცემა (<https://cyberleninka.ru/.../gosudarstvennyy-reestr-lekarstvennyh-sredstv-dlya-meditsinskogo-primeneniya-retrospektivnyy-analiz-akt...>).

### **1.1. კუმისის ტბის სამკურნალო ტალახის გამოყენების მეთოდოლოგია**

კოსმეტიკურ მრეწველობაში შესაძლებელია კუმისის ტბის სამკურნალო ტალახის ორი ვარიანტის გამოყენება: თვით ტალახი გარკვეული რაოდენობის წყლის მოცილების შემდეგ. ამ შემთხვევაში კოსმეტიკური პროდუქცია შეიცავს როგორც მინერალური კომპონენტების ნაკრებს, ისე ორგანულ კომპონენტებს. მეორე შემთხვევაში გამოიყენება ლიპიდების, კაროტინოიდებისა და ქლოროფილების შემცველი ტალახის ექსტრაქცია სხვადასხვა ორგანული ბუნებრივი ზეთებით და პარფიუმერული ზეთით. ტალახის ექსტრაქციის ჩატარებამდე და პროცესის განხორციელების შემდეგ ზეთების სპექტრთა უი-სპექტროფოტომეტრულმა შესწავლამ გვიჩვენა შთანთქმის მაჩვენებლის ზრდა საშუალოდ 50-60%-ით პარფიუმერული ზეთით ექსტრაქციის შემთხვევაში. დანარჩენ შემთხვევებში, თვით ზეთებში (ზეთისხილის, ქაფურის, მგესუმზირისა და სხვ.) ლიპიდებისა და კაროტინოიდების არსებობასთან დაკავშირებით ნამატის სიდიდე ნაკლებია და საშუალოდ შეადგენს 30-40%.

ნაშრომში გამოყენებულია კუმისის ტბის ლამის სამკურნალო ტალახის ლიპოფილური და მარილოვანი ფრაქციის მიღების მეთოდები, ოსმოსური აქტივობის განსაზღვრის და ტალახის სტერილიზაციის მეთოდოლოგია.

## **2. კუმისის ტბის ფსკერის ტალახის მინერალური და ორგანული ფაზების შემადგენლობის ქიმიურ-ანალიტიკური შესწავლა**

კუმისის ტბის ფსკერის ტალახის მინერალური და ორგანული ფაზების ქიმიური შემადგენლობის შესწავლის დროს სპეციალური აპარატურის



გამოყენების გარეშე არაორგანული კათიონების რაოდენობის განსაზღვრაზე ლიტერატურული მონაცემების კრიტიკულმა მონაცემებმა გვიჩვენა, რომ ყველაზე მარტივია ტიტრირების მეთოდი, კერძოდ კი კომპლექსომეტრული.

ტალახის მინერალური შემადგენლობის თვისებითი ანალიზის დროს 20 გრამ ტალახს უმატებენ 100სმ<sup>3</sup> დისტილირებულ წყალს და 5 სმ<sup>3</sup> კონცენტრირებულ მარილმჟავას. აღინიშნებოდა აირის უხვი გამოყოფა - კარბონატების დაშლის გამო, ამ დროს იგრძნობა გოგირდწყალბადის სუნი. აირის გამოყოფის შეწყვეტის შემდეგ მიღებულ ნარევს ადუღებენ კოლბაში უკუმაცივრით 20 წუთის განმავლობაში, რის შემდეგაც აგრილებენ და ფილტრავენ გამჭირვალე ხსნარის მიღებამდე (ხსნარი №1). 2 სმ<sup>3</sup> ხსნარ №1-ს ამატებენ 1სმ<sup>3</sup> კალიუმის ფეროციანიდს. წარმოიქმნება ლურჯი შეფერილობა ნალექით (რკინა). ხსნარის რამდენიმე წვეთს ათავსებენ ფილტრის ქაღალდზე, გაშრობის შემდეგ იმავე წერტილში ამატებენ კალიუმის ფეროციანიდის რამდენიმე წვეთს, ჩნდება ლურჯი შეფერილობა (რკინა). 2-3სმ<sup>3</sup> ხსნარ №1-ს უმატებენ 1-2სმ<sup>3</sup> ამიაკის 25%-იან ხსნარს სუსტი ტუტე რეაქციის მიღებამდე, ხოლო შემდეგ 1სმ<sup>3</sup> ამონიუმის ოქსალატის ხსნარს. მიიღება თეთრი ნალექი, რომელიც არ იხსნება ამიაკის 25%-იან ხსნარსა და ძმარმჟავაში (კალციუმი). №1 ხსნარს, 3-4სმ<sup>3</sup> რაოდენობით, უმატებენ 1-2სმ<sup>3</sup> ამონიუმის ქლორიდის ხსნარს, 1-2სმ<sup>3</sup> ნატრიუმის ფოსფატის ხსნარს და 2სმ<sup>3</sup> ამიაკის 25%-იან ხსნარს. მიიღება თეთრი ნალექი, რომელიც იხსნება ძმარმჟავაში (მაგნიუმი). №1 ხსნარს უმატებენ ამიაკის 25%-იან ხსნარს სუსტ ტუტე რეაქციამდე, ნარევს აცხელებენ ადუღებამდე და უმატებენ ალიზარინის ხსნარის რამდენიმე წვეთს. წარმოიქმნება წითელი ფერის ნარევი (ალუმინი). №1 ხსნარს, 2სმ<sup>3</sup> რაოდენობით, უმატებენ 1მლ აზოტმჟავას, 0,5სმ<sup>3</sup> ვერცხლის ნიტრატის ხსნარს, მიიღება ხაჭოსებრი ნალექი, რომელიც იხსნება ამიაკში (ქლორიდები). 25გ სამკურნალო ტალახს უმატებენ 25გ კალიუმის კარბონატს, მასას კარგად ურევენ და აშრობენ 105°C- ზე. რის შემდეგაც გადააქვთ მუფელის ლუმელში და აჩერებენ 1საათს 500°C

ტემპერატურაზე. მიღებული მასა ულუფებით თავსდება აგატის როდინში, აქეცმაცებენ ფხვნილის მიღებამდე, რომელიც გადააქვთ კოლბაში, უმატებენ 50სმ<sup>3</sup> წყალს და ადუღებენ 5წუთის განმავლობაში. ნარევეს ფილტრავენ ფილტრის ქალაღზე დანაყოფებიან ძაბრში, სადაც წინასწარ ასხამენ 10სმ<sup>3</sup> ოთხქლორიან ნახშირბადს. ფილტრზე დარჩენილ ნალექს რეცხავენ ცხელი წყლით უშუალოდ ძაბრში, რომლის შემცველობას შემდეგ აგრილებენ, ანეიტრალებენ გოგირდმუავას 20-25%-იანი ხსნარით pH=2-მდე, უმატებენ 3სმ<sup>3</sup> ნატრიუმის ნიტრატის 5%-იან ხსნარს და ურევენ. ოთხქლორიანი ნახშირბადის შრე იღებება იასამნისფრად (იოდი). 2სმ<sup>3</sup> რაოდენობის №1 ხსნარს უმატებენ 1სმ<sup>3</sup> ბარიუმის ქლორიდის 10%-იან ხსნარს. მიიღება თეთრი ნალექი, რომელიც არ იხსნება განზავებულ მუავებში (სულფატები). 5-6სმ<sup>3</sup> №1 ხსნარს უმატებენ 3-4სმ<sup>3</sup> ძმარმუავას. შემდეგ ნატრიუმის კობალტნიტრატის რამდენიმე წვეთს. რამდენიმე წუთის შემდეგ წარმოიქმნება ყვითელი ფერის ნალექი (კალიუმი).

ტალახის მინერალური შემადგენლობის რაოდენობრივი ანალიზი ტარდებოდა სქემა №1 მიხედვით. ტალახის მინერალური შემადგენლობის რაოდენობრივი ანალიზის შედეგები მოწმდებოდა ვალიდაციის მეთოდით.

რკინის შემცველობის რაოდენობრივი განსაზღვრა. ტიტრირებას ახდენენ 0,1გ.ექვ./ლ ნატრიუმის თიოსულფატის ხსნარით. ინდიკატორი იყო სახამებელი. მიღებული შედეგი სამვალენტური რკინის ოქსიდზე გაანგარიშებით გამოითვლება ფორმულით: 
$$x = \frac{v \times 0.005585 \times 1.43 \times 100}{a}$$
, სადაც  $v$ —0,1გ.ექვ./ლ ნატრიუმის თიოსულფატის ხსნარის დახარჯული რაოდენობაა, სმ<sup>3</sup>;  $a$ — ანალიზისთვის აღებული ტალახის წონა, გ; 1,43 სამვალენტური რკინის ოქსიდზე გაანგარიშების კოეფიციენტი. რკინის ოქსიდის შემცველობა მშრალ ტალახში უნდა იყოს არანაკლებ 5%. მოგვყავს ვალიდაციური მახასიათებლების მონაცემები. განსაზღვრის სისწორე—განსაზღვრის ცდომილება -5,34—დან +4,78—მდე ფარგლებშია; ანალიზის შედეგების


თანხვედრა–ფარდობითი გადახრა (%) მაქსიმალური შედეგიდან–1,22, მინიმალურიდან–1,68; სპეციფიურობა (ანალიტიკურ სინჯში რკინის ოქსიდის მასასთან მიმართებაში 5% ნატრიუმის ქლორიდის არსებობისას), ფარდობითი გადახრა საშუალო შედეგიდან (%) მაქსიმალური–1,48, მინიმალური–1,35; შუალედური პრეციზიულობა–მაქსიმალური გადახრა საშუალო შედეგიდან 0,89. განსაზღვრის ლინეარულობა შენარჩუნებულია სინჯში 0,03-1,6გ შემცველობის ფარგლებში.

კალციუმისა და მაგნიუმის შემცველობის რაოდენობრივი განსაზღვრა. ტიტრირებას ახდენენ 0,05 M ტრილონ B-ს ხსნარით. ინდიკატორია–შავი ერიოქრომი T. კალციუმისა და მაგნიუმის პროცენტული შემცველობა ოქსიდებზე გაანგარიშებით გამოითვლება ფორმულით:

$$x = \frac{v \times v_1 \times 0,002004 \times 1,4 \times 100}{a \times 70}$$

სადაც v-A ხსნარის მოცულობაა, სმ<sup>3</sup>; v<sub>1</sub>-0,05M

ტრილონ B-ს დახარჯული ხსნარის რაოდენობა, სმ<sup>3</sup>; 1,4 ოქსიდზე კალციუმისა და მაგნიუმის გადაანგარიშების კოეფიციენტი; a–ანალიზისთვის აღებული ტალახის წონა, გ; 0,002004–კალციუმისა და მაგნიუმის რაოდენობა კალციუმზე გადაანგარიშებით, რომელიც შეესაბამება 1 მლ 0,05 M ტრილონ B-ს ხსნარს, სმ<sup>3</sup>. ტალახში ოქსიდების ჯამის შემცველობა უნდა იყოს არანაკლებ 8,45%. მოგვყავს ვალიდაციური მახასიათებლების მონაცემები. განსაზღვრის სისწორე–განსაზღვრის ცდომილება -4,77–დან +2,58–მდე ფარგლებშია; ანალიზის შედეგების თანხვედრა–ფარდობითი გადახრა (%) მაქსიმალური შედეგიდან–1,52, მინიმალურიდან–1,4; სპეციფიურობა (ანალიტიკურ სინჯში მაგნიუმის და კალციუმის ოქსიდის ჯამურ მასასთან მიმართებაში 5% ნატრიუმის ქლორიდის არსებობისას), ფარდობითი გადახრა საშუალო შედეგიდან (%) მაქსიმალური–1,81, მინიმალური–1,53; შუალედური პრეციზიულობა–მაქსიმალური გადახრა (%) საშუალო შედეგიდან 1,42. განსაზღვრის ლინეარულობა შენარჩუნებულია სინჯში 0,08-1,2გ შემცველობის ფარგლებში.



სქემა 1. ტალახის მინერალური შემადგენლობის რაოდენობრივი ანალიზი.

კალციუმისა და მაგნიუმის შემცველობის რაოდენობრივი განსაზღვრა. ტიტრირებას ახდენენ 0,05 M ტრილონ B-ს ხსნარით. ინდიკატორია-შავი ერიოქრომი T. კალციუმისა და მაგნიუმის პროცენტული შემცველობა

ოქსიდებზე გაანგარიშებით გამოითვლება ფორმულით:

$$x = \frac{v \times v_1 \times 0.002004 \times 1.4 \times 100}{a \times 70}$$

სადაც  $v$ -A ხსნარის მოცულობაა, სმ<sup>3</sup>;  $v_1$ -0,05M ტრილონ B-ს დახარჯული ხსნარის რაოდენობა, სმ<sup>3</sup>; 1,4 ოქსიდზე კალციუმისა და მაგნიუმის გადაანგარიშების კოეფიციენტი;  $a$ -ანალიზისთვის აღებული ტალახის წონა, გ; 0,002004-კალციუმისა და მაგნიუმის რაოდენობა კალციუმზე გადაანგარიშებით, რომელიც შეესაბამება 1 მლ 0,05 M ტრილონ B-ს ხსნარს, სმ<sup>3</sup>. ტალახში ოქსიდების ჯამის შემცველობა უნდა იყოს არანაკლებ 8,45%. მოგვყავს ვალიდაციური მახასიათებლების მონაცემები. განსაზღვრის სისწორე-განსაზღვრის ცდომილება -4,77-დან +2,58-მდე ფარგლებშია; ანალიზის შედეგების თანხვედრა-ფარდობითი გადახრა (%) მაქსიმალური შედეგიდან-1,52, მინიმალურიდან-1,4; სპეციფიურობა (ანალიტიკურ სინჯში მაგნიუმის და კალციუმის ოქსიდის ჯამურ მასასთან მიმართებაში 5% ნატრიუმის ქლორიდის არსებობისას), ფარდობითი გადახრა საშუალო შედეგიდან (%) მაქსიმალური-1,81, მინიმალური-1,53; შუალედური პრეციზიულობა-მაქსიმალური გადახრა (%) საშუალო შედეგიდან 1,42. განსაზღვრის ლინეარულობა შენარჩუნებულია სინჯში 0,08-1,2გ შემცველობის ფარგლებში.

კალციუმის შემცველობის რაოდენობრივი განსაზღვრა. ახდენენ ტიტრირებას 0,05M ტრილონ B-ს ხსნარით. ინდიკატორი მურექსიდი. კალციუმის რაოდენობა ოქსიდზე გადაანგარიშებით გამოითვლება ფორმულით:  $x_1 = \frac{v \times v_1 \times 0.002004 \times 1.4 \times 100}{a \times 70}$ . სადაც  $v$ -A ხსნარის მოცულობაა, სმ<sup>3</sup>;  $v_1$ -0,05M ტრილონ B-ს დახარჯული ხსნარის რაოდენობა, სმ<sup>3</sup>; 1,4-ოქსიდზე კალციუმის გადაანგარიშების კოეფიციენტი;  $a$ -ანალიზისთვის აღებული ტალახის წონა, გ; 0,002004-კალციუმისა და მაგნიუმის რაოდენობა კალციუმზე გადაანგარიშებით, რომელიც შეესაბამება 1სმ<sup>3</sup> 0,05M ტრილონ B-ს ხსნარს. მშრალ ტალახში კალციუმის შემცველობა ოქსიდზე გაანგარიშებით უნდა იყოს არანაკლებ 6,1%. მოგვყავს ვალიდაციური

მახასიათებლების მონაცემები. განსაზღვრის სისწორე-განსაზღვრის ცდომილება -4,77-დან +5,26-მდე ფარგლებშია; ანალიზის შედეგების თანხვედრა-ფარდობითი გადახრა (%) მაქსიმალური შედეგიდან-1,03, მინიმალურიდან-2,24; სპეციფიურობა (ანალიტიკურ სინჯში კალციუმის ოქსიდის მასასთან მიმართებაში 5% ნატრიუმის ქლორიდის არსებობისას), ფარდობითი გადახრა საშუალო შედეგიდან (%) მაქსიმალური-1,37, მინიმალური-1,04; შუალედური პრეციზიულობა-მაქსიმალური გადახრა (%) საშუალო შედეგიდან 0,51. განსაზღვრის ლინეარულობა შენარჩუნებულია სინჯში 0,08-1,2გ შემცველობის ფარგლებში.  $x-x_1$  სხვაობით განისაზღვრება მაგნიუმის ოქსიდის შემცველობა, რომელიც უნდა იყოს არანაკლებ 2,35%.

ალუმინის შემცველობის რაოდენობრივი განსაზღვრა. ტიტრირებას ახდენენ 0,05 გ.ექვ./ლ თუთიის სულფატის ხსნარით. ინდიკატორის სახით უმატებენ შავ ერიოქრომ T-ს ხსნარს. ალუმინის რაოდენობა ოქსიდზე გაანგარიშებით გამოითვლება ფორმულით: 
$$x = \frac{v \times (v_1 - v_2) \times 0.001349 \times 1.89 \times 100}{a \times 50}$$
 სადაც  $v$ -B ხსნარის მოცულობაა, სმ<sup>3</sup>;  $v_1$ -0,05M ტრილონ B-ს დახარჯული ხსნარის რაოდენობა, სმ<sup>3</sup>;  $v_2$ -0,05 გ.ექვ./ლ თუთიის სულფატის დახარჯული ხსნარის რაოდენობა, სმ<sup>3</sup>; 0,001349-ალუმინის რაოდენობა, რომელიც შეესაბამება 1სმ<sup>3</sup> 0,05M ტრილონ B-ს ხსნარს, სმ<sup>3</sup>; 1,89-ოქსიდზე ალუმინის გადანგარიშების კოეფიციენტი;  $a$ -ანალიზისთვის აღებული ტალახის წონა, გ. ალუმინის შემცველობა მშრალ ტალახში ოქსიდზე გაანგარიშებით უნდა იყოს არანაკლებ 9,0%. მოგვყავს ვალიდაციური მახასიათებლების მონაცემები. განსაზღვრის სისწორე-განსაზღვრის ცდომილება -7,46-დან +3,57-მდე ფარგლებშია; ანალიზის შედეგების თანხვედრა-ფარდობითი გადახრა (%) მაქსიმალური შედეგიდან-0,91, მინიმალურიდან-0,94; სპეციფიურობა (ანალიტიკურ სინჯში ალუმინის ოქსიდის მასასთან მიმართებაში 5% ნატრიუმის ქლორიდის არსებობისას), ფარდობითი გადახრა საშუალო შედეგიდან (%) მაქსიმალური-0,8, მინიმალური-4,59; შუალედური

პრეციზიულობა-მაქსიმალური გადახრა (%) საშუალო შედეგიდან 0,68. განსაზღვრის ლინეარულობა შენარჩუნებულია სინჯში 0,06-1,25გ შემცველობის ფარგლებში.

სილიციუმის შემცველობის რაოდენობრივი განსაზღვრა. სილიციუმის განსაზღვრა ხდებოდა წონითი მეთოდის საშუალებით. ანალიზის შედეგების თანხვედრა-ფარდობითი გადახრა (%) მაქსიმალური შედეგიდან-5,7, მინიმალურიდან-5,1. სილიციუმის ოქსიდის შემცველობა უნდა იყოს არანაკლებ 37%.

თვისებითი რეაქციებით, თხელფენოვანი ქრომატოგრაფიით და სპექტროფოტომეტრიით ორგანული ფაზის ანალიზმა გამოავლინა კაროტინოიდების, ქლოროფილისა და ლიპიდების არსებობა. კაროტინოიდების შემთხვევაში (თვისებითი რეაქციებით კონცენტრირებული გოგირდმჟავათი და სტიბიუმის ქლორიდის ხსნარით) უი-სპექტრში ვლინდება პიკები  $405 \pm 56$ მ,  $450 \pm 56$ მ ფარგლებში, რომლებიც დამახასიათებელია კაროტინოიდებისთვის. პიკი  $450 \pm 56$ მ შეესაბამება ბეტა-კაროტინს. ლიპიდშემცველი ფრაქციის თხელფენოვანი ქრომატოგრაფია ტარდებოდა პეტროლეინის ეთერის-დიეთილეთერის (10:3,5) გამხსნელების სისტემაში SILUFOR-ის ფირფიტებზე. ფირფიტებს გაშრობის შემდეგ ნახულობდნენ ხილულ და უი შუქზე. კონცენტრირებული გოგირდმჟავის ხსნარით ფირფიტის დამუშავების შემდეგ კაროტინოიდების აღმოჩენა ხდებოდა მუქი ლურჯი ლაქების სახით  $R_f \sim 0,40$  და  $R_f \sim 0,85$  სიდიდით.

ლიპიდშემცველი ფრაქციის თხელფენოვანი ქრომატოგრაფია ქლოროფილის განსაზღვრისთვის ტარდებოდა პეტროლეინის ეთერის-დიეთილეთერის (10:3,5) გამხსნელების სისტემაში SILUFOR-ის ფირფიტებზე. ქლოროფილების გამოვლენა ხდებოდა ხილულ შუქზე და წითელი ფლუორესცენციით უი შუქზე  $R_f \sim 0,1$  და  $R_f \sim 0,22$  სიდიდით.

ლიპიდების აღმოჩენა წარმოებდა თხელფენოვანი ქრომატოგრაფიის მეთოდით SILUFOR-ის ფირფიტებზე. ნეიტრალური ლიპიდების

გამოყოფისთვის გამოიყენება ნარევი ჰექსანი:დიეთილის ეთერი:ცინულოვანი ძმარმუკა თანაფარდობით 73:25:2. ფოსფოლიპიდების გამოყოფისთვის გამოიყენება ნარევი-ქლოროფორმი:მეთანოლი:წყალი თანაფარდობით 65:25:4. პირველ შემთხვევაში ვლინდებოდა ნეიტრალური ლიპიდების 2 მოყვითალო-მოყავისფრო ლაქა  $R_f \sim 0,35$  და  $R_f \sim 0,45$  სიდიდით. მეორე შემთხვევაში 80-90°C-მდე გაცხელების შემდეგ ფოსფოლიპიდების ლაქები იღებება მუქ ლურჯად მოყვითალო-მომწვანო ფონზე  $R_f \sim 0,90$  და  $R_f \sim 0,70$  სიდიდით. ლიპიდების ჯამური შემცველობის წონითი მეთოდით რაოდენობრივი განსაზღვრისათვის გამოიყენება ფორმულა:  $x = \frac{(A-g) \times 100}{a \times k}$ . სადაც A-კოლების წონაა ლიპიდების ჯამით, გ; გ-კოლების წონა, გ; a-აღებული ფსკერის მშრალი ტალახის ზუსტი წონა, გ. ლიპიდების ჯამის შემცველობა უნდა იყოს არანაკლებ 1,2%. მეთოდის ვალიდაციის შედეგები. განსაზღვრის სისწორე-განსაზღვრის ცდომილება -6,20-დან +7,72-მდე ფარგლებშია; შედეგების თანხვედრა-ფარდობითი გადახრა (%) მაქსიმალური შედეგიდან-9,02, მინიმალურიდან-6,31; სპეციფიურობა-ფარდობითი გადახრა საშუალო შედეგიდან (%) მაქსიმალური-7,95, მინიმალური-8,28; შუალედური პრეციზიულობა-მაქსიმალური გადახრა (%) საშუალო შედეგიდან 10,23. განსაზღვრის ლინეარულობა შენარჩუნებულია სინჯში 0,1-1,85გ შემცველობის ფარგლებში.

### **3. კომბინირებული სკრაბ-პილინგების რეცეპტურისა და მიღების ტექნოლოგიის შემუშავება**

თანამედროვე კოსმეტოლოგიის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს კანის ცვლილებების კორექციის გარეგანი მეთოდების შემუშავება პროგრესული მეთოდებით, რომელთა შორისაა პილინგოთერაპია. პილინგებსა და სკრაბებს შეუძლიათ კანის ზედაპირიდან მკვდარი უჯრედების რამდენიმე შრის მოცილება. სკრაბები



შეიცავენ სპეციალურ აბრაზიულ ნაწილაკებს. ერთ-ერთ აქტუალურ ამოცანას წარმოადგენს კომბინირებული სკრაბ-პილინგების შემუშავება, რაც საშუალებას იძლევა გაერთიანდეს ორივე პროცედურა.

პრობლემა მდგომარეობს კომბინირებული სკრაბ-პილინგების ფუძის შემუშავებაში, რომელიც შეძლებს მუავების გარკვეული რაოდენობის და მასკრაბირებელი ნივთიერებების შეკავებას განმრევების გარეშე.

### ცხრილი 1. სკრაბების ფუძის რეცეპტურის შემუშავება

| ინგრედიენტების დასახელება  | სინჯი №                        |     |     |     |     |
|--|--------------------------------|-----|-----|-----|-----|
|  | 1                              | 2   | 3   | 4   | 5   |
|  | ინგრედიენტების კონცენტრაცია, % |     |     |     |     |
| კოსმეტიკური სტეარინი   | 7,0                            | 6,0 | 5,0 | 4,0 | 3,0 |
| გლიცერინის მონოსტეარატი  | 6,0                            | 5,0 | 4,0 | 3,0 | 3,0 |
| ემულსიური ცვილი : პოლისორბატი 80 1:1   | 8,0                            | 7,0 | 6,0 | 4,0 | 3,0 |
| ხოსტოცერინი DGO  | 2,5                            | 2,0 | 1,8 | 1,5 | 1,0 |
| კუმისის სამკურნალო ტალახის ლიპოფილური ფრაქცია, მიღებული პარფიუმერული ზეთით და ასკილის ზეთით თანაფარდობით 1:0,3 | 10,0                           | 8,0 | 6,0 | 4,0 | 4,0 |
| გლიცერინი  | 5,0                            | 4,0 | 3,0 | 3,0 | 2,0 |
| კაკაოს ზეთი  | 6,0                            | 4,0 | 5,0 | 4,0 | 3,0 |
| კალიუმის სორბატი და სორბინის მუავა (1:1)   | 0,5                            | 0,5 | 0,5 | 0,5 | 0,5 |
| არომატიზატორი  | 0,2                            | 0,2 | 0,2 | 0,2 | 0,2 |
| დისტილირებული წყალი კუმისის ტალახის წყალ-მარილოვან ექსტრაქტთან ერთად თანაფარდობით 10:1                         | 100%-მდე                       |     |     |     |     |

არსებულ მოთხოვნებს პასუხობენ მალამოს ფუძეები №2 და №3. ასეთი ტიპის კოსმეტიკური სუბსტანციის მიღებისას ძირითად მოთხოვნას მათ მიმართ წარმოადგენს ორგანულ მუავებთან და მასკრაბირებელ დანამატებთან თავსებადობა, რომლის მაგალითები მოყვანილია ცხრილებში 3-6.

**ცხრილი 2. სკრაბების ფუძის ანალიზის შედეგები**

| მაჩვენებლების დასახელება | ანალიზის დრო      | სინჯი №      |         |         |            |            |
|--------------------------|-------------------|--------------|---------|---------|------------|------------|
|                          |                   | 1            | 2       | 3       | 4          | 5          |
|                          |                   | ანალიზის დრო |         |         |            |            |
| გარეგნული სახე           | მომზადების შემდეგ | არ შეესაბ.   | შეესაბ. | შეესაბ. | შეესაბ.    | შეესაბ.    |
|                          | 0,5 წელი          | –            | შეესაბ. | შეესაბ. | შეესაბ.    | არ შეესაბ. |
|                          | 1 წელი            | –            | შეესაბ. | შეესაბ. | არ შეესაბ. | არ შეესაბ. |
| სუნი                     | მომზადების შემდეგ | –            | შეესაბ. | შეესაბ. | შეესაბ.    | შეესაბ.    |
|                          | 0,5 წელი          | –            | შეესაბ. | შეესაბ. | შეესაბ.    | შეესაბ.    |
|                          | 1 წელი            | –            | შეესაბ. | შეესაბ. | შეესაბ.    | შეესაბ.    |
| pH 6,0-7,0               | მომზადების შემდეგ | –            | შეესაბ. | შეესაბ. | შეესაბ.    | შეესაბ.    |
|                          | 0,5 წელი          | –            | შეესაბ. | შეესაბ. | შეესაბ.    | შეესაბ.    |
|                          | 1 წელი            | –            | შეესაბ. | შეესაბ. | შეესაბ.    | შეესაბ.    |
| კოლოიდური სტაბილურობა    | მომზადების შემდეგ | –            | შეესაბ. | შეესაბ. | შეესაბ.    | შეესაბ.    |
|                          | 0,5 წელი          | –            | შეესაბ. | შეესაბ. | არ შეესაბ. | არ შეესაბ. |
|                          | 1 წელი            | –            | შეესაბ. | შეესაბ. | არ შეესაბ. | არ შეესაბ. |
| თერმოსტაბილურობა         | მომზადების შემდეგ | –            | შეესაბ. | შეესაბ. | შეესაბ.    | შეესაბ.    |
|                          | 0,5 წელი          | –            | შეესაბ. | შეესაბ. | არ შეესაბ. | არ შეესაბ. |
|                          | 1 წელი            | –            | შეესაბ. | შეესაბ. | არ შეესაბ. | არ შეესაბ. |

**ცხრილი 3. თავსებადობა ლიმონმუყასთან (ფუძე 2)**

| ფუძე გ. | ლიმონმუყა |     | ოსმოსური აქტივობა % | განშრევა |
|---------|-----------|-----|---------------------|----------|
|         | გ.        | %   |                     |          |
| 25.0    | 0.25      | 1,0 | 130,0               | არა      |
| 25.0    | 0,5       | 2,0 | 130,0               | არა      |
| 25.0    | 0,75      | 3,0 | 134,0               | არა      |
| 25.0    | 1,0       | 5,0 | 135,0               | არა      |
| 25.0    | 1,25      | 6,0 | 135,0               | არა      |
| 25.0    | 1,5       | 7,0 | 135,0               | კი       |

**ცხრილი 4. თავსებადობა სალიცილის მუავასთან (ფუძე 2)**

| ფუძე, გ. | სალიცილის მუავა |     | ოსმოსური აქტივობა, % | განზრევება |
|----------|-----------------|-----|----------------------|------------|
|          | გ.              | %   |                      |            |
| 25,0     | 0,25            | 1,0 | 135,0                | არა        |
| 25,0     | 0,50            | 2,0 | 135,0                | არა        |
| 25,0     | 0,75            | 3,0 | 135,0                | არა        |
| 25,0     | 1,00            | 4,0 | 145,0                | არა        |
| 25,0     | 1,25            | 5,0 | 150,0                | არა        |
| 25,0     | 1,50            | 6,0 | 160,0                | არა        |
| 25,0     | 1,75            | 7,0 | 160,0                | კი         |

**ცხრილი 5. თავსებადობა ლიმონმუავასთან და ღვინის მუავასთან მათი ერთდროული არსებობისას (ფუძე 2)**

| ფუძე, გ. | მუავები   |          | განზრევება |
|----------|-----------|----------|------------|
|          | ლიმონის % | ღვინის % |            |
| 25,0     | 1,0       | 1,0      | არა        |
| 25,0     | 1,0       | 2,0      | არა        |
| 25,0     | 2,0       | 1,0      | არა        |
| 25,0     | 3,0       | 1,0      | არა        |
| 25,0     | 1,0       | 3,0      | არა        |
| 25,0     | 2,0       | 3,0      | არა        |
| 25,0     | 3,0       | 3,0      | არა        |
| 25,0     | 2,0       | 4,0      | არა        |
| 25,0     | 4,0       | 3,0      | კი         |
| 25,0     | 3,0       | 4,0      | კი         |
| 25,0     | 5,0       | 1,0      | არა        |
| 25,0     | 1,0       | 5,0      | არა        |

**ცხრილი 6. კუმისის სამკურნალო ტალახის განაწილება ფუძეში 2, რომელიც შეიცავს ლიმონმჟავას, სალიცილის მჟავას და ბენტონიტის ან მწვანე თიხას თანაფარდობით 2%-5%-2%**

| ფუძის რაოდენობა გ. | სამკურნალო ტალახის რაოდენობა |      | ოსმოსური აქტივობა % | მასის გარეგნული სახე თანაბრად განაწილებული აბრაზივით |
|--------------------|------------------------------|------|---------------------|--|
|                    | გ.                           | %    |                     |  |
| 50,0               | 1,0                          | 2,0  | 150                 | კი   |
| 50,0               | 2,0                          | 4,0  | 150                 | კი   |
| 50,0               | 3,0                          | 6,0  | 180                 | კი   |
| 50,0               | 4,0                          | 8,0  | 190                 | არა  |
| 50,0               | 5,0                          | 10,0 | -                   | არა  |

მასკრაბირებელი დანამატების სახით გამოყენებულია კუმისის ტალახი 6%-მდე და თხილის წვრილადდაქუცმაცებული ნაჭუჭი (ზომა 0,2-0,4მმ)– არაუმეტეს 4%. ტალახის გამოყენება საშუალებას გვაძლევდა, აბრაზიულ ეფექტთან ერთად, კანში შეგვეყვანა რიგი მიკრო- და მაკროელემენტები.

მიღებული მონაცემების საფუძველზე შემუშავებულია შემდეგი რეცეპტურები: 1. სკრაბ-პილინგი ნორმალური და მშრალი კანისთვის: კუმისის სამკურნალო ტალახი 6%, ლიმონმჟავა 3%, სალიცილის მჟავა 2%, თხილის წვრილადდაქუცმაცებული ნაჭუჭი ზომით საშუალოდ 0,4მმ 4%, მანდარინის ზეთი 0,2%, ფუძე 100%-მდე. 2. სკრაბ-პილინგი ცხიმოვანი კანისთვის: კუმისის სამკურნალო ტალახი 6%, ბენტონიტის ან მწვანე თიხა 2%, ლიმონმჟავა 2%, სალიცილის მჟავა 5%, თხილის წვრილადდაქუცმაცებული ნაჭუჭი ზომით საშუალოდ 0,4მმ 4%, ფუძე 100%-მდე. 3. სკრაბ-პილინგი პრობლემური კანისთვის: კუმისის სამკურნალო ტალახი 6%, ბენტონიტის ან მწვანე თიხა 2%, სალიცილის მჟავა 5%, ლიმონმჟავა 2%, გოგირდი ფხვნილის სახით 0,5%,

მეტრონიდაზოლი 1%, რეზორცინი 0,5%, თხილის წვრილადდაქუცმაცებული ნაჭუჭი 5%, ფუძე 100%-მდე.

სკრაბ-პილინგების მიღების ტექნოლოგიური სქემა: რეაქტორში შეაქვთ ფუძის საჭირო რაოდენობა, აცხელებენ 55-60°C ტემპერატურამდე, შემდეგ მორევით ამატებენ მუავეს, სამკურნალო ტალახს (პრობლეური კანის შემთხვევაში ბენტონიტის ან მწვანე თიხას, გოგირდს, მეტრონიდაზოლს და რეზორცინს) ყოველ ჯერზე ერთგვაროვანი მასის მიღებამდე. რის შემდეგ მორევით ამატებენ გარკვეულ ზომამდე დაქუცმაცებულ თხილის ნაჭუჭის 5%. ნარევს აგრილებენ 20-25°C და მორევით ამატებენ მანდარინის ზეთს.

#### **4. სამკურნალო ნიღბების რეცეპტურისა და მიღების ტექნოლოგიის შემუშავება**

სამკურნალო ტალახის ნიღბები ახდენენ სისხლის მიმოქცევის სტიმულაციას და ანელებენ კანის დაბერების პროცესს, აუმჯობესებენ ნივთიერებათა ცვლას კანის საფარველის უჯრედებში, ხელს უწყობენ კანის ბუნებრივ განახლებას.

ნიღბების ხარისხი, სამკურნალო ეფექტთან ერთად, განისაზღვრება რიგი რეოლოგიური პარამეტრებით, რომლებიც განსაზღვრავენ მათი კანზე დატანის სიადვილეს და კანზე შეჩერების შესაძლებლობას, რომელთაგან ძირითადია ძვრის წინააღმდეგობა (ძწ) და წებოვნება (წ). აუცილებელი იყო პლასტიფიკატორების შეტანა, რის სახითაც გამოყენებულ იქნა მცენარეული ზეთები, კანის მაღალი მკვებავი ეფექტით, პარფიუმერული ზეთი და გლიცერინი.

**ცხრილი 7. პლასტიფიკატორების მოქმედება კუმისის სამკურნალო ტალახზე  
( $d_n=2950$  დინ/სმ<sup>2</sup>) ( $n=3910$  დინ/სმ<sup>2</sup>) ( $t=20^{\circ}C$ )**

| დამატებული კომპონენტი    | მისი კონცენტრაცია, % | სილიღე                                   |                                | ოსმოსური აქტივობა, %             |
|--------------------------|----------------------|--|--------------------------------|----------------------------------|
|                          |                      | ძვრის წინააღმდეგობა, დინ/სმ <sup>2</sup> | წებოვნება, დინ/სმ <sup>2</sup> | 24 საათში ზეთის 5% შემცველობისას |
| ზეითუნის ზეთი            | 5,0                  | 2530                                     | 3300                           | 160                              |
|                          | 10,0                 | 2450                                     | 3200                           |                                  |
|                          | 15,0                 | 2220                                     | 3060                           |                                  |
| მგესუმზირის ზეთი         | 5,0                  | 2650                                     | 3400                           | 175                              |
|                          | 10,0                 | 2040                                     | 3040                           |                                  |
|                          | 15,0                 | 2010                                     | 2830                           |                                  |
| სიმინდის ზეთი            | 5,0                  | 2420                                     | 3340                           | 140                              |
|                          | 10,0                 | 2480                                     | 3120                           |                                  |
|                          | 15,0                 | 2050                                     | 3070                           |                                  |
| ყურძნის ზეთი             | 5,0                  | 2640                                     | 3240                           | 175                              |
|                          | 10,0                 | 2400                                     | 3190                           |                                  |
|                          | 15,0                 | 2350                                     | 3010                           |                                  |
| კოსმეტიკური ზეთი         | 5,0                  | 2720                                     | 3330                           | 180                              |
|                          | 10,0                 | 2550                                     | 3290                           |                                  |
|                          | 15,0                 | 2450                                     | 3060                           |                                  |
| ევკალიპტის ზეთი          | 1,0                  | 2450                                     | 3730                           | 170                              |
|                          | 3,0                  | 2380                                     | 3650                           |                                  |
|                          | 5,0                  | 1950                                     | 3400                           |                                  |
